

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები**

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

- ა) პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია;
- ბ) პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების შინაარსისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
- გ) პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით;
- დ) პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე;
- ე) პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება.

**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**  
სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

- ა) პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;
- ბ) პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;
- გ) პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია;
- დ) პროფესიული სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით;
- ე) პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

**პროფესიული სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ:

- ა) პროფესიული სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას;

ბ) დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებში და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებას;

გ) დაწესებულება ორიენტირებულია სწავლებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

#### **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ:

ა) დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ბ) კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს;

გ) პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით;

დ) სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

ე) არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

#### **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ:

ა) მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის ამაღლების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს;

ბ) შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.